

ტესტის სახელწოდება

SARS-CoV-2-ის საწინააღმდეგო IgM და IgG ანტისხეულები

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტები გამოიყენება ადამიანის სისხლის შრატში ან პლაზმაში SARS-CoV-2-ის საწინააღმდეგო IgG და IgM ანტისხეულების აღმოსაჩენად.

SARS-CoV-2 COVID-19-ის გამომწვევი კორონავირუსია. ადამიანის იმუნური სისტემა, ვაქცინაციის ან SARS-CoV-2-ით ინფიცირების შემდეგ, ჩვეულებრივ, ამ ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების წარმოქმნას იწყებს. გამომუშავებულ ანტისხეულებს შორისაა IgM და IgG კლასის ანტისხეულები.

IgG ანტისხეულების მომატებული დონე IgM ანტისხეულებზე უფრო ხანგრძლივი დროით ნარჩუნდება სისხლში. თუმცა, ჯერჯერობით დანამდვილებით არ არის ცნობილი, გამომუშავების შემდეგ (ინფიცირების ან ვაქცინაციის შედეგად) ზუსტად რამდენ ხანს ძლებენ ეს ანტისხეულები.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ეს ანალიზები ინიშნება სისხლის შრატში ან პლაზმაში SARS-CoV-2-ის საწინააღმდეგო IgG და IgM ანტისხეულების განსაზღვრისთვის. არავაქცინირებულ პირებში ამ ანტისხეულების დონის განსაზღვრა გარკვეულ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, გადატანილი ჰქონდა თუ არა მანამდე ადამიანს COVID-19. ამ ანალიზების მეშვეობით არ ხდება თავად ვირუსის გამოვლენა, შესაბამისად, ისინი არ გამოდგება დიაგნოზის დასადასტურებლად COVID-19 ინფექციის ადრეულ სტადიაში.

SARS-CoV-2 ყოველთვის არ იწვევს მძიმე დაავადებას და ზოგჯერ უსიმპტომოდაც შეიძლება წარიმართოს. ეს ანალიზი ინფორმაციას იძლევა იმ გამოჯანმრთელებულ პაციენტებზეც, ვინც დაავადება უსიმპტომოდ ან მსუბუქად გადაიტანეს.

აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ ანტისხეულების გამომუშავებას გარკვეული დრო სჭირდება. შესაბამისად, დაავადების გამოვლენიდან დაახლოებით 2-3 კვირა მაინც უნდა იყოს გასული, ვიდრე ეს ანალიზი გაკეთდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტესტმა შესაძლოა ანტისხეულები ვერ დააფიქსიროს.

ზემოაღნიშნულის გამო, ეს ანალიზი მიმდინარე ინფექციის დიაგნოსტიკისთვის არ გამოიყენება.[1-4]

გარდა ამისა, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად არსებული რეკომენდაციების თანახმად, ამ ანალიზის შედეგები არ უნდა იქნას გამოყენებული იმის გადასაწყვეტად, საჭიროა თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება ან

იმის შესაფასებლად, რამდენად დაცული შეიძლება იყოს ადამიანი SARS-CoV-2-ით დაინფიცირებისგან და COVID-19-ის განვითარებისგან.[1-4]

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ამ ანალიზისთვის სპეციალური მომზადება საჭირო არ არის, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულმა ფაქტორებმა ტესტის შედეგებზე გავლენა შეიძლება იქონიოს.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზების შედეგების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ექიმის მიერ, სხვა კლინიკური და ლაბორატორიული მაჩვენებლების გათვალისწინებით.

არავაკცინირებულ პირებში ანალიზის დადებითი შედეგი წარსულში გადატანილი COVID-19-ის გამო შეიძლება იყოს, იმის მიუხედავად რამდენად იყო გამოხატული სიმპტომები.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზუსტად არ არის დადგენილი რამდენ ხანს ძლებენ ანტისხეულები გამომუშავების შემდეგ. გარდა ამისა, ზოგიერთ ადამიანში ანტისხეულების ტიტრი შეიძლება დაბალი იყოს. მაგალითად, იმუნური პასუხი შეიძლება სუსტად იყოს გამოხატული ხანშიშესულ პირებში (ასაკი >65 წელი), კიბოს მქონე პაციენტებში, მაღალი სხეულის ინდექსის მქონე ადამიანებში, ან იმ პაციენტებში, ვისაც იმუნოსუპრესიული თერაპია უტარდება.[5]

გასათვალისწინებელია, რომ SARS-CoV-2-ით ინფიცირებიდან თუ საკმარისი დრო არ არის გასული, ტესტის შედეგი შეიძლება უარყოფითი იყოს, რადგან ანტისხეულების გამომუშავებას გარკვეული დრო სჭირდება. ტესტის შედეგი შეიძლება ასევე უარყოფითი იყოს იმ პაციენტებშიც, რომლებსაც იმუნოდეფიციტური მდგომარეობა აღენიშნებათ ან იმუნიტეტის დამთრგუნავ მედიკამენტებს იღებენ.

განახლების თარიღი: 21.09.2021

გამოყენებული წყაროები:

1. CDC. Labs [Internet]. Centers for Disease Control and Prevention. 2020 [cited 2021 Sep 20]. Available from: <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/lab/resources/antibody-tests-guidelines.html>

2. SARS-CoV-2 Testing [Internet]. COVID-19 Treatment Guidelines. [cited 2021 Sep 20]. Available from: <https://www.covid19treatmentguidelines.nih.gov/overview/sars-cov-2-testing/>
3. Antibody testing is not currently recommended to assess immunity after COVID-19 vaccination: FDA Safety Communication. FDA [Internet]. 2021 May 19 [cited 2021 Sep 20]; Available from: <https://www.fda.gov/medical-devices/safety-communications/antibody-testing-not-currently-recommended-assess-immunity-after-covid-19-vaccination-fda-safety>
4. Antibody (Serology) testing for covid-19: information for patients and consumers. FDA [Internet]. 2021 May 19 [cited 2021 Sep 20]; Available from: <https://www.fda.gov/medical-devices/coronavirus-covid-19-and-medical-devices/antibody-serology-testing-covid-19-information-patients-and-consumers>
5. Lippi G, Henry BM, Plebani M. Anti-SARS-CoV-2 Antibodies Testing in Recipients of COVID-19 Vaccination: Why, When, and How? *Diagnostics*. 2021 Jun;11(6):941. <https://www.mdpi.com/2075-4418/11/6/941/htm>